სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 4

ქ. თბილისი 28/06/2024

12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზურაბ გოგშელიძე
2. შორენა დარჩიაშვილი
3. აკაკი მიქაბერიძე
4. მირანდა მიქაძე
5. სალომე ჩიტიშვილი
6. პავლე ჯაგუნავა

2024 წლის 28 ივნისს, 12:00 საათზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსის 212 აუდიტორიაში გაიმართა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო კომისიის მეოთხე სხდომა.

მოისმინეს:

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ გოგშელიძემ, რომელმაც კომისიის წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

<u>დღის წესრიგის პროექტი</u>

1. აკადემიური საბჭოს არჩევნების თარიღის ცვლილება და შესაბამის საარჩევნო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა;
2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

ჩატარდა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ კომისიის წევრებს გააცნო თსუ რექტორის 2024 წლის 24 ივნისის N 164/01-01 ბრძანება, რომლითაც შეტანილი იქნა ცვლილება ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'' უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 5 ივნისის N144/01-01 ბრძანებაში და აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 9 ივლისი. ზურაბ გოგშელიძემ აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისიამ რექტორის ბრძანების საფუძველზე უნდა მოახდინოს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების თარიღის ცვლილება და არჩევნების დღედ განისაზღვროს 9 ივლისი. ამავდროულად, არჩევნების ახალი თარიღი უნდა აისახოს უკვე დამტკიცებულ ყველა სხვა საარჩევნო დოკუმენტაციაში.

აზრი გამოთქვეს:

წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე კომისიის წევრთა შორის გაიმართა მსჯელობა. აზრი გამოთქვეს საარჩევნო კომისიის მდივანმა აკაკი მიქაბერიძემ, კომისიის წევრებმა შორენა დარჩიაშვილმა, პავლე ჯაგუნავამ, სალომე ჩიტიშვილმა და მირანდა მიქაძემ. კომისიის წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ საჭიროა აღნიშნულთან დაკავშირებით მოხდეს არჩევნების თარიღის ცვლილება ყველა სათანადო საარჩევნო დოკუმენტაციაში.

კომისიის თავმდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ დააყენა კენჭისყრაზე საკითხი საარჩევნო დოკუმენტაციაში აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების თარიღის ცვლილების შესახებ.

1. <u>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების თარიღად</u>

განისაზღვროს 2024 წლის 9 ივლისი. ასევე, ყველა სათანადო საარჩევნო დოკუმენტაციაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის დამსწრე წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 9 ივლისი. ასევე, ყველა სათანადო საარჩევნო დოკუმენტაციაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ სხდომის მონაწილეებს განუმარტა, რომ არჩევნების მიზნებისთვის საჭიროა საარჩევნო კომისიამ შეიტანოს შესაბამისი ცვლილება საარჩევნო ბიულეტენის დამტკიცებულ ფორმაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის მდივანმა აკაკი მიქაბერიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია საარჩევნო ბიულეტენში ახალი თარიღი არჩევნების დასახელებაში. კომისიის წევრებმა გაიზიარეს მოსაზრება და შეიმუშავეს საარჩევნო ბიულეტენის შეცვლილი ფორმა (დანართი 1).

კომისიის თავმდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საარჩევნო ბიულეტენის ფორმის (დანართი 1) დამტკიცების შესახებ.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნებისთვის საარჩევნო ბიულეტენის ფორმის დატკიცება დანართის შესაბამისად (დანართი 1)

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის დამსწრე წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

<u>დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნებისთვის საარჩევნო ბიულეტენის ფორმა დანართის შესაბამისად (დანართი 1).</u>

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ სხდომის მონაწილეებს განუმარტა, რომ არჩევნების მიზნებისთვის საჭიროა საარჩევნო კომისიამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს არჩევნებზე დაკვირვების მსურველთა რეგისტრაციისათვის საჭირო ფორმები.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის მდივანმა აკაკი მიქაბერიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია დამკვირვებლად რეგისტრაციის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა და იურიდიულმა პირებმა წარმოადგინონ განცხადება და სათანადო დოკუმენტაცია. კომისიის წევრებმა გაიზიარეს მოსაზრება და შეიმუშავეს არჩევნებზე დაკვირვების მსურველთა რეგისტრაციისათვის საჭირო ფორმები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა (დანართი 2, დანართი 3).

კომისიის თავმდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი არჩევნებზე დაკვირვების მსურველთა რეგისტრაციისათვის საჭირო ფორმების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ (დანართი 2, დანართი 3).

3. <u>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნებზე დაკვირვების მსურველთა ფორმისა და წარმოსადგენი</u>

დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცება დანართის შესაბამისად (დანართი 2, დანართი 3).

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის დამსწრე წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს სსიპ - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნებზე დაკვირვების მსურველთა ფორმა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა დანართის შესაბამისად (დანართი 2, დანართი 3).

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ სხდომის მონაწილეებს მოახსენა, რომ არჩევნების მიზნებისთვის საჭიროა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცოს ამომრჩეველთა სამაგიდო სიების ფორმა და ამომრჩეველთა ერთიანი საარჩევნო სია. სიების შემუშავების მიზნით ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა ფაკულტეტებიდან და სამეცნიერო-კვლევითი ინსტუტუტებიდან.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა წარმოადგინეს მოსაზრებები სამაგიდო სიის ფორმასთან დაკავშირებით და შეიმუშავეს სამაგიდო სიის ფორმა (დანართი 4), ასევე ფაკულტეტებიდან და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად მომზადდა ამომრჩეველთა ერთიანი სია (დანართი 5).

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სამაგიდო სიის ფორმისა და ამომრჩეველთა ერთიანი სიის დამტკიცების შესახებ.

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნების სამაგიდო სიის ფორმის დამტკიცება დანართის შესაბამისად

(დანართი 4) და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნების ამომრჩეველთა ერთიანი სიის დამტკიცება დანართის შესაბამისად (დანართი 5).

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის დამსწრე წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნების სამაგიდო სიის ფორმა დანართის შესაბამისად (დანართი 4) და ამომრჩეველთა ერთიანი სია დანართის შესაბამისად (დანართი 5).

თავმჯდომარე:

/ზურაბ გოგშელიძე/ ----------

მდივანი:

/აკაკი მიქაბერიძე/ ----------

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნები

_____

ფაკულტეტის/სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასახელება

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი არაუმეტეს ერთი კანდიდატი

კანდიდატის რიგითი ნომერი. კანდიდატის სახელი გვარი

კომისიის წევრის ხელმოწერა

.....

ბ.ა. .....

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ საარჩევნო კომისიას

.....

(სახელი გვარი, პირადი ნომერი)

განცხადება

გთხოვთ, დამარეგისტრიროთ დამკვირვებლად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნებზე დაკვირვების განხორციელების მიზნით.

დაკვირვებას განვახორციელებ ..... (ფაკულტეტ(ები)ი/დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეული/საარჩევნო კომისია/ყველა დონის საარჩევნო კომისიაში).

დამატებით გაცნობებთ, რომ ..... .
(არ არის სავალდებულო)

დანართის სახით წარმოგიდგენთ პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლს.

პატივისცემით,

განმცხადებელი: .....

საკონტაქტო ინფორმაცია: .....

თარიღი:.....

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ საარჩევნო კომისიას

.....

(ორგანიზაციის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, წარმომადგენლის თანამდებობა, სახელი გვარი პირადი ნომერი)

განცხადება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნებზე დაკვირვების განხორციელების მიზნით, გთხოვთ, (ორგანიზაციის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი) .... დაარეგისტრიროთ დამკვირვებელ ორგანიზაციად.

ორგანიზაცია დაკვირვებას განახორციელებს ..... (ფაკულტეტ(ები)ი/დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეული/საარჩევნო კომისია/ყველა დონის საარჩევნო კომისიაში).

დამატებით გაცნობებთ, რომ ..... .
(არ არის სავალდებულო)

დანართის სახით წარმოგიდგენთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამონაწერს სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან. ასევე, დამკვირვებლად რეგისტრაციისთვის წარმოგიდგენთ შემდეგ პირთა სიას პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

პატივისცემით,

განმცხადებელი: .....

საკონტაქტო ინფორმაცია: .....

თარიღი: .....

	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები					**2024 წლის 9 ივლისი**
ფაკულტეტის/სამეცნიერო კვლევითი ერთეულის დასახელება, მისამართი						
ამომრჩეველთა სამაგიდო სია						
N	გვარი	სახელი	თანამდებობა	პირადი ნომერი	რეგისტრატორის ხელმოწერა	ამომრჩევლის ხელმოწერა
1						

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორის ბრძანება

N 164/01-01
24.06.2024

164-01-01-4-202406241737

,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 5 ივნისის N144/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე–16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, მე–20 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54- ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის მე-2 - მე-5 და მე-8 პუნქტების, მე– 14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის ,,ა" და ,,პ" ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ,,სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ" სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96 დადგენილებისა და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს 2024 წლის 24 ივნისის N16371/10 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,სსიპ - ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'' უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 5 ივნისის N144/01-01 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის შესავალი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო- კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით, დაინიშნოს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები 2024 წლის 9 ივლისს:";

2. წინამდებარე ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
3. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
4. ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
5. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
7. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ჯაბა სამუშია

რექტორი